

1977

საქართველოს სსრ განათლების საზოგადოებრივი განვითარების მინისტრის განკარგულებაში



გაქვეყნებულია და ინსტრუქციებითა

ქ რ ე ბ უ ლ ი

5

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 12 მაისის ბრძანება № 371

სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების
მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის დაუსწრებელ
სკოლებში

განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლე-
ბის სამმართველოს მოხსენებით ბარათიდან დასტურდება, რომ რეს-
პუბლიკის მთელ რიგ დაუსწრებელ სკოლებში გარკვეული მუშაობა
ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 24
დეკემბრის № 1165 ბრძანების „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილე-
ბათა შექმნე სწავლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“
შესასრულებლად.

სამუშაო გეგმები და კონსულტაციის ცხრილები სკოლებში ძი-
რი ადად სწორადაა შედგენილი: მასწავლებლები, როგორც წესი,
ადგენენ კალენდარულ გეგმებს, გაკვეთილებს ატარებენ დაუსწრებელ
სკოლების სპეციფიკის გათვალისწინებით და იმ მეთოდების შესაბამი-
სად რაც ქ. თბილისის საღამოს სკოლებში სწავლების ხარისხის თაო-
ბაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 24
იანვრის № 57 ბრძანებაშია. ისინი გულმოდგინედ მუშაობენ სწავლე-
ბაში სიახლის გამოყენებისა და დანერგვისათვის, აღწევენ ჯგუ-
ფური და ინდივიდუალური კონსულტაციების ეფექტურობის ამაღ-
ლებას. მოსწავლეებს უნერგავენ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს,
ააქტიურებენ მათ აზროვნებას: სკოლებისა და განათლების განყოფი-
ლებათა ხელმძღვანელებმა გააუმჯობესეს შინასაკოლო კონტროლი
და ხელმძღვანელობა, იბრძვიან შრომის დისციპლინის განსამტკიცებ-
ლად. მთელ რიგ სკოლებში ცალკეული საგნების სწავლებაში კარგ
შედეგებს აღწევენ.

მაგრამ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა რესპუბლიკის დაუს-

სსრ სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა



სწრებელი სკოლების მუშაობაში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია, ზოგიერთი სკოლების ცალკეული მასწავლებლების მუშაობა ვერაფრით სუბობს სადღეისო მოთხოვნებს, მოსწავლეთა ცოდნის დონე კვლავ დაბალია; სუსტია სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა, მიუხედავად არაერთგზის მითითებებისა და გაფრთხილებისა ზოგიერთი დღის სკოლის ხელმძღვანელი დაუსწრებელ სკოლებს, მათ სასწავლო საკონსულტაციო პუნქტებსა და ჯგუფებს არ უქმნის მუშაობის ნორმალურ პირობებს. ზოგან საკლასო ოთახებისა და კაბინეტების გამოყენების ნებასაც კი არ აძლევენ მათ. მოგვარებული არ არის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შექმნის და გამოყენების საქმე.

ზოგ სკოლაში სათანადოდ არ არის შედგენილი ცხრილები ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციებისათვის; სასწავლო პროცესის ორგანიზაცია არ შეესაბამება ამ საკითხზე სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მოზრდილთა ზოგადი განათლების სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტის 1975 წლის 30 სექტემბრის საინსტრუქციო მეთოდურ წერილში მოცემულ მოთხოვნებს (რაც ყველა სკოლას გაეგზავნა).

განათლების განყოფილებები, მეთოდური კაბინეტები არ უწყევენ ჯეროვან დახმარებას და ხელმძღვანელობას დაუსწრებელ სკოლებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

—რესპუბლიკის დაუსწრებელ სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათი დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, იგრეთვე დაუსწრებელ სკოლებს, მოწინავე გამოცდილების განსაზოვადებლად და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად (მოხსენებითი ბარათი თან ერთვის).

—სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა სწავლების ხარისხის ამაღლების, და მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცების საქმეს საფუძვლად დაუდონ საქართველოს სსრ მასწავლებელთა მეთოთხე ყრილობის მიერ დასახული ამოცანები; ყრილობის მასალების საფუძვლიანად განუმარტონ თვითიველ მასწავლებელს: ფართოდ გაშალონ მუშაობა დიდი

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის დღე
სეულად შეხვედრისათვის;



—მკვეთრად გააუმჯობესონ სკოლებში თანამშრომელთა შორის სახელმწიფოებრივი და შრომითი, მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინა;

გაატარონ გადამჭრელი ზომები დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ხარისხის ამაღლების და სრულყოფის, აგრეთვე აღზრდისა და სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, მიაღწიონ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას;

სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებს შეუქმნან მუშაობისათვის საჭირო პირობები. დღის სკოლების ბაზაზე მომუშავე სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების საქმიანობაზე გააძლიერონ ამ სკოლების დირექტორების პასუხისმგებლობა;

—დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებში მოაწყონ ამ ბრძანებისა და მოხსენების ბარათის განალიზონ თვითეთელ სკოლაში არსებული მდგომარეობა და გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

—თბილისის რესპუბლიკური, ბათუმისა და სოხუმის საოლქო, ცხაკაიას, ზესტაფონის, ახალციხის, გორისა და ახმეტის რაიონული დაუსწრებელი და დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლები ზონების მიხედვით მიჩნეული იქნან ამ ტიპის სკოლების მეორედური მუშაობის საბაზო სკოლებად; აფხაზეთისა და აჭარის ასრ განაჯლების მინისტრებმა, ცხაკაიას, ზესტაფონის, გორის, ახალციხისა და ახმეტის რაიონების განაჯლების განყოფილებათა გამგებმა გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი ამ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზისა და მასწავლებელთა კადრებით განმტკიცებისათვის: სკოლებს, მათ სს პუნქტებს და ჯგუფებს შეუქმნან ყველა პირობა ნორმალური მუშაობისათვის;

—სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ მომავალ შიგ შეუწელებელი ყურადღება მიაქციოს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის გამოცდილების განზოგადებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განაჯლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 5 მაისის დადგენილება № 4.

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ც ნ ო ბ ა

სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს მიერ დასახულ ღონისძიებათა
შესრულების ღდგონაქრობის შესახებ კრესპუალიკის
დაუსწრებელ სკოლებში

შემოწმებამ ცხადყო, რომ განათლების განყოფილებებისა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის დასახული ამოცანების შესასრულებლად.

განათლების საბჭოებსა და პედაგოგიურ კოლექტივებში განხილულა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1976 წლის 6 სექტემბრის № 55-მ წერილი სალამოს (ცელ იანი) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე სწავლების ხარისხის ამაღლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წ. 24 დეკემბრის № 1165 ბრძანება.

მასწავლებლები გარკვეული არიან როდის და როგორ ჩაატარონ შესავალი, დასწავლის, განმარტოვებელი, წარმართველი ჯგუფური კონსულტაცია და როდის ინდივიდუალური, მაგრამ იციან, რომ პირველ ეტაპზე საჭიროა კლასების მიხედვით მოსწავლეთა მომზადების ღონის შესწავლა და მუშაობის ისე წარმართვა, რომ მოსწავლეთაგან, რომლებსაც სწავლაში დიდი წყვეტის ან სხვა მიზეზების გამო, არ აღმოაჩნდებათ საბროგრამო მასალის შესწავლისათვის საფუძვლიანი ცოდნა, პირველ რიგში მოახდინონ მისი შევსება; ამ საფეხურზე ისინი მეცადინეობენ მასწავლებლების უშუალო ხელმძღვანელობით,

ეცნობიან სახელმძღვანელოებს, საშინაო დეკლარაციების მომზადების, წიგნების და მოუქიდებელი მუშაობის შედეგებსა და წესებს.

ჯგუფური კონსულტაციების მეორე ეტაპზე ძირითადი ყურადღება ექცევა მასალის გადაცემას—ახსნას. იზრდება მომართვებულობა მოსწავლისადმი, მათგან მოითხოვენ მსჯელობას, ფაქტებისა და მოვლენების შედარებას, ანალიზისა და დასკვნების გამოტანას.

მესამე და მეოთხე ეტაპზე მოსწავლეებს მოეთხოვებათ დამოუკიდებლად მეტი მუშაობა. აქ მასწავლებელი მათ ინსტრუქტაჟსა და მეტოდურ ჩვევა-დარიგებას აძლევს; მიუთითებს ძირითად და დამხმარე ლიტერატურას; განმარტავს, როგორ მოამზადონ ესა თუ ის საკითხი, შეადგინონ გეგმა, რეფერატი; მოამზადონ ჩათვლა, განუმარტავს რეალურ საკითხებს. რომლის შესწავლაც მათ უჭირათ დამოუკიდებლად. ასწავლის ცალკეულ მოვლენებს და ტერმინებს, მიუთითებს ამოცანებს, მავალითებს, სვარჯიშოებს. სისტემაში მოჰყავს მოსწავლეთა ცოდნა. ამ ეტაპზე ცოდნის განსამტკიცებლად იყენებენ თანმიმდევრულად ლოგიკურ კითხვებს, რომლებიც ასრულებენ ორიენტირის როლსაც.

ინდივიდუალურ კონსულტაციებს ატარებენ მოსწავლეთა ცოდნის შევსებისა და განმტკიცებისათვის. განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც ჯგუფურ კონსულტაციაზე არ ესწრებოდნენ, ან მათთვის ვინც შედარებით ძნელად იგებს შესასწავლ. მასალას. ასეთი კონსულტაციის ესწრება ყველა მოსწავლე, ვისაც სურს ცოდნის განმტკიცება. აქ არჩევენ და ავსებენ იმ ხარვეზებს, რაც გამორჩათ დამოუკიდებელი მუშაობისას, ამზადებენ მოსწავლეებს ჩათვლებისათვის და საკონტროლო წერებისათვის, ლაბორატორიული სამუშაოებისათვის.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ცოდნის სწორ შეფასებას, გორის, ხობის დასწრებულ-დაუსწრებელ, თბილისის რესპუბლიკურ დაუსწრებელ სკოლებში ეფექტურად იყენებენ კონსულტაციების პროცესში ფრონტალურ-პრობლემურ კითხვებს, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს; საშინაოდ მოსწავლეებს ავალბებენ კითხვებზე პასუხის გაცემას შედარებას, სქემისა და დიაგრამის აგებას; აქ კარგად აქვია, დაგეგმილი ჩათვლები, ისინი გათვალისწინებულია მეცადინეობისაგან თავისუფალ დღეებში. მათი ცხრილი ასეთი სახისაა:



დღე თარიღი	საგანი	მასწავლებელი	კლასი	საათი	ჩათვლის №	საქონლის ოთახი

მასწავლებლების უმრავლესობა წინასწარ ადგენს რეკომენდაციებს, სადაც უარიუბენ ჩათვლის ნომერს, ჩასაჯვლელ მასალას, ლიტერატურას, ამოცანის, მაგალითის ნომერს: ამოწმებენ საკონტროლო და ლაბორატორულ სამუშაოებს: ზოგიერთი მასწავლებელი ჩათვლებს წერის საშუალებითაც იპარეს: ამ საკითხებზე მეთოდგაერთიანებათა სწდომებზე ისმენენ მოხსენებებს: მეთოდისტები ადგილებზე საჭირო დახმარებას უწევენ დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებსა და ჯგუფებს.

მასწავლებლები ახლა უკეთესად ემზადებიან ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციებისა და ჩათვლებისათვის; სწავლების მეთოდებს უხამებენ ცხოვრებისეულ მოთხოვნებს, მოსწავლეებს ცნობიერად აბამენ შესასწავლი მასალის ათვისებაში, უნერგავენ დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს. ამუშავენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოითხოვენ მსჯელობას, ფაქტებისა და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირში შესწავლას, ლოგიკური აზროვნების განვითარებას, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებაში პრაქტიკული საკითხების გამოყენებას. მასწავლებლები, როგორც წესი, სასწავლო წლის დასაწყისში ადგენენ კალენდარულ გეგმებს და საპროგრამო მასალას ანაწილებენ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ზუსტი დაცვით.

ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქ. მამინაშვილი ჯგუფურ კონსულტაციაზე აწარმოებს პროგრამით გათვალისწინებული მასალის თანმიმდევრულად მიმოხილვას, ახდენს საკვანძო საკითხების გაანალიზებას, წინა პლანზე აყენებს იმ პრობლემურ საკითხს, რომლის დამოუკიდებლად დაძლევის ვერ შეძლებენ მოსწავლეები; განუმარტავს თუ როგორ მოამზადონ ესა თუ ის საკითხი, რა ლიტერატურა შეარჩიონ და როგორ გამოიყენონ იგი, ასწავლის გეგმის შედგენას, ინდივიდუალურ კონსულტაციას, რომელიც ჯგუფურ კონსულტაციას მოსდევს, იყენებს მოსწავლეათვის მიცემული მასალის შესწავლისა და შემოწმება-განმტკიცებისათვის. მას ძირითადად ატარებს კითხვა-პასუხის გზით. მოსწავლეთა პასუხებს ავსებს მასწავლებელი. საწერ თემებად მასწავლებელს შერჩეული აქვს ისეთი საკითხები, რომლებიც მოით-



ხოვენ მოსწავლეა დამოუკიდებელ აზროვნებას და გამორიცხავენ „შპარგალის“ ხმარებას. მაგალითად, — როგორი იყო აღმინათი დი ბატონყმური ურთიერთობის დროს (დ. ჭონჭაძის „სურამის ციხის“ მიხედვით); ბრძოლისა და მოძრაობის იდეები ნ. ჭარაიაშვილის „მერანის“ მიხედვით; პიროვნებისა და შრომის განთავისუფლების იდეა ი. ჭავჭავაძის „აჩრდილის მიხედვით“; „ბახვა ფულავას გამდიდრების გზა“ და სხვ.

მუშაობის კარგ მაგალითს გვიჩვენებს ცხაკაიას რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის ახალსოფლის სსპ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ილარიონ ხარებავა. მან მეთერთმეტე კლასში ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას“ სწავლებისას ნათელი წარმოდგენა მისცა ნაწარმოებში ასახული ეპოქისა და მოქმედ გმირთა შესახებ; გვადის ხასიათის ორმაგ ბუნებაზე. მისი ფსიქოლოგიური გარდაქმნის პროცესზე, მოფიქრებულად დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემით მოსწავლეები მიიყვანა სოფლად ახალი სოციალისტური ყოფის დამკვიდრების აუცილებლობამდე, მიუთითა სოფლის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განახლებისა და გაუმჯობესების საქმეში სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრების კეთილსმყოფელ გავლენაზე. ამ კონსულტაციაზე მოსწავლეებმა ბევრი საინტერესო მაგალითი მოიტანეს თავიანთი სოფლის ცხოვრებიდან.

თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის ქუთაისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ი. გოგობერიძემ იმავე თემის სწავლებისას მთავარი ყურადღება დაუთმო სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი როლის გაშუქებას, მოსწავლეები კარგად ერკვევიან იმ ძირითად ძვრებში, რაც კოლმეურნეთა ცხოვრებაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში.

მასწავლებელმა დადებითი პასუხი მიიღო ასეთ კითხვებზე: მიიყვანეთ რომანიდან ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიის ზრუნვის მაგალითები, დაასაბუთეთ საკოლმეურნეო მშენებლობის სიკეთე. რატომ ეწოდება ამ ნაწარმოებს ფსიქოლოგიური რომანი? მოსწავლეებმა კარგად შეადარეს რომანში ასახული მაშინდელი და დღევანდელი კოლმეურნეების ცხოვრება.

თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის ვარკეთილის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. წიკლაური მიზნობრივად იყენებს

ინდივიდუალურ კონსულტაციას, მასზე უახდენს ადრე დამუშავებული მასალის განმტკიცებას და სრულყოფას; აქვე ამზადებს მოსწავლეს საკონტროლო წერებისა და ჩათვლებისათვის. X კლასში ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვირვის“ ფავუტურ კონსულტაციაზე ახსნის შემდეგ, მასწავლებელმა ინდივიდუალური კონსულტაცია დაუთმო ახსნილის განმტკიცებას, რომლის დროსაც მიმართველი კითხვების საშუალებით განმარტა ნაწარმოების თემა და იდეა, ხიდიტეხილობის პრობლემა. ილიას შეხედულება სოციალური საკითხებისადმი; გარკვეული დრო დაუთმო ნაწარმოების მხატვრულ ანალიზს, რისთვისაც გააზრებულად გამოიყენა ნაწარმოების ტექსტი.

რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლის ქსნის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რ. ცაგარეიშვილი ნაწარმოების შესწავლისას კარგად იყენებს მხატვრულ ილუსტრაციებს.

ხობის რაიონულ დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლის ქვემო ქვალონის სს პუნქტის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლოლა აღანია ვაკვეთილზე ახდენს ნაწარმოების გმირთა შედარებას მოსწავლეთა ძალებით. დ. აღღიაშვილის „ქამუშაძის ვაჭირვეის“ ვავლისას იგი მოსწავლეებს შეეკითხა: რომელ გმირს მოგონებთ ოტია? მოსწავლეებმა უბასუხეს—პლატონ სამანიშვილს; ვის შეადარებთ ბეგლარ ჯინჭარაძეს და პორტირე ბიაშვილს? პასუხი—კირილე მიმინოშვილს, არისტო ქვაშავაძეს, ივანე გვერდევანიძეს. ანა ლოგვიურად მუშაობს ხობის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის მასწავლებელი ჯ. კეპულაძე.

კარგად ასწავლიან რუსულ ენასა და ლიტერატურას თბილისის რესპუბლიკური, ბათუმის საოლქო სკოლების მასწავლებლები ლ. ბაცაძე, ლ. მალრაძე, კ. გერგაული, ნ. პოპანდიშელი. ისინი იყენებენ ლექსიკონებს, თვალსაჩინო მასალას, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს; მოსწავლეებს აჩვენენ დამოუკიდებელ ზეპირ და წერილ მეტყმეტყველებას; შესწავლილ მასალას მოხერხებულად უკავშირებენ თანამედროვე საკითხებს. წინასწარ ადგენენ ისეთ საკითხებს, რომლებიც მოიახოვენ მსჯელობას! ბათუმის საოლქო სკოლის თხილნარის სს პუნქტის მასწავლებელმა ლ. ბეცაძემ ინდივიდუალურ კონსულტაციაზე ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ შესწავლისას მოსწავლეები ავარჯიშა ასეთი კითხვებით: რატომ დაიწყო ადრე შრომითი საქმიანობა ბავლემ? როგორ პირობებში მუშაობდა ის ბუფეტში? როგორი შრომითი პირობებია თქვენს საწარმოებში? რამდენ



კგ ჩაის კრევთ დღეში? სეზონზე? როგორ ასრულებთ გეგმას? არის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული? მოსწავლეებს სასახლეებზე უმაღლესი საბჭოს დებუტატს, ლენინის ორდენის კავალერს ჩაის მკრეფავს, მათ თანაკლასელ—მერი გულაბერიძეს, მერი აცხადებს, რომ ხუთწლედის პირველ წელს 7 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მასწავლებელი აკეთებს დასკვნას, რომ ჩვენს ქვეყანაში თითოეული ადამიანის შრომა მაღალ შეფასებას იმსახურებს, იგი ახდენს სასწავლო მუშაობის შეერთებას აღმზრდელით საკითხებთან.

თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლის მასწავლებელი ლ. მალრადე მასწავლებელთა ცოდნას წერილობითი ბარათებით ამოწმებს. ამით მასწავლებელი ცოდნის დონის გამოვლინებასთან ერთად მოსწავლეებს ავარჯიშებს მართლწერაშიც.

ამავე სკოლის წყნეთის სს პუნქტის მასწავლებელი კ. გერგაული კარგად აკავშირებს შესასწავლ მასალას კომუნისტური მშენებლობის საკითხებთან: ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ შესწავლისას ყურადღება გაამახვილა ვიწროლიანდაგიან რკინიგზის მშენებლობისას შექმნილ მდგომარეობაზე. ჰყვებოდა რა სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდის კომკავშირლებზე, ის კლასს შეეკითხა: შეგიძლიათ დაასახელოთ ჩვენს დღეებში კომკავშირელთა შრომითი საქმიანობის მსგავსი მაგალითები? მოსწავლეები სხვა მშენებლობებზე მეტად გამოყოფენ ამურ-ბაიკალის რკინიგზას, რომელიც კომკავშირული მშენებლობის ობიექტადაა გამოცხადებული. ასახელებენ ენგურის, ჟინვალის ჰიდროელექტრო კომპლექსის მშენებლობაში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის მაგალითებს.

მომუშავე ახალგაზრდების მეცნიერულ-ტექნიკური განათლების თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, კურსის ახალი პროგრამებით სწავლება ბათუმის საოლქო, თბილისის რესპუბლიკურ, ცხაკაიას, ლანჩხუთის რაიონულ სკოლებში (მასწავლებელი: დ. მემარნე; ა. ქათამაძე); ლანჩხუთის რაიონულ სკოლის ჯუღურუყვათის სს პუნქტის მათემატიკის მასწავლებელი ფ. ლლონტი ჯგუფურ კონსულტაციაზე მოსწავლეთა გააქტიურებას აღწევს მათი მიზნობრივი ჩაბმით ახალი მასალის ახსნის პროცესში. X კლასში არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიები, მათი ზოგადი წევრის და წევრთა ჯამის ფორმულების სწავლებისას, თემა სამ ნაწილად დაჰყო: 1 კონსულტაციაზე მოსწავლეებს დაურიგა წინასწარ მომზადებული ბარათები ასეთი სახის რიცხვითი მიმდევრობის შესახებ:

- 5, 10, 25.... 6, 9, 12... 7, 9, 11....
 4, 10, 16... 10, 20, 30... 20, 18, 16....
 9, 8, 7...

და დაავალა მათ გამოეცნოთ როგორი კანონზომიერებით არიან განლაგებული ეს რიცხვითი მიმდევრობანი და ჩაეწერათ მომდევნო რიცხვები, მოსწავლეებმა შეძლეს მოცემული სამუშაოს შესრულება, შემდეგ კონსულტაციაზე მასწავლებელმა განსაზღვრა არითმეტიკული პროგრესია და მისი ცალკეული წევრები, დაფაზე დაწერა პროგრესია 3, 7, 11, 16... და დაავალა მოსწავლეებს დაეწერათ მომდევნო წევრები, ისინი აგრძელებენ წერას. ბოლოს კი, ზემოაღნიშნულის მსგავსად, გააცნო მოსწავლეებს არითმეტიკული პროგრესიის წევრთა ჯამის გამოსანგარიშებელი ფორმულა

$$S_n = \frac{a_1 + a_n}{2} \cdot n$$

ქუთაისის სს პუნქტის მასწავლებელმა ე. ელიკაშვილმა ახალი მასალის „ამოზნეჟილი მრავალწახნაგა კუთხის ბრტყელი კუთხეთა ჯამის“ ახსნის პროცესში კლასი ამოქმედდა შემდეგი კითხვებით:

1. რატომ ვირჩევთ მტკიცების პროცესში უდიდეს ASC კუთხეს?
2. დავასაბუთოთ AD + DC რატომ არის ნაკლები AB + BC-ზე?

(გაარჩიეთ მოცემული ნახაზის მიხედვით).

3. თეორემის—ამოზნეჟილი მრავალწახნაგა კუთხის ყველა ბრტყელი კუთხის ჯამი 4 d-ზე ნაკლებია, მტკიცება თუ შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა მრავალწახნაგა კუთხე ამოზნეჟილი არ არის? თუ არ შეიძლება რატომ? ამავე კონსულტაციაზე ამოხსნეს ორი ამოცანა.

მასწავლებლის ნაწილი შესასწავლი მასალის განმტკიცების მიზნით მიხერხებულად იყენებს მოსწავლეთა საწარმო გამოცდილებას; ცხაკაიის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლის ძველი სენაკის სს პუნქტის ქიმიის მასწავლებელმა ნაზი ფაიქაძემ მეთერთმეტე კლასში ამინომჟავების სწავლებისას პრაქტიკულად განმარტა მათი მნიშვნელობა ორგანიზმში ცილების სინთეზისათვის. ძველ სენაკის მელორეოზის სანაშენე საბჭოთა მეურნეობაში მომუშავე მოსწავლეებმა დინტერესი გამოიჩინეს ზოგიერთი ამინომჟავების ცხოველების დამატებით საკვებად, კერძოდ კი ღორების გასასუქებლად გამოყენების საქმეში.



გაკვეთილის ეფექტიანობისა და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად კარგად იყენებენ სწავლების ტექნიკურ საშუალებებს ცნების სკოლის ძველი სენაკისა და მენჯის სს პუნქტის ფიზიკის მასწავლებლები დიმიტრი ძიძიგური და ლოლა ხუბუა, დ. ძიძიგურმა მეთერთმეტე კლასში თემა „გამოსხივება და სპექტრები“ ახსნა სპექტრული აპარატის გამოყენებით, მოსწავლეები გაერკვნენ გამოსხივებულ სპექტრების ტალღის სიგრძისა და სინთირის რიცხვით მნიშვნელობაში, ზოლოვანი, ხაზოვანი და შთანთქმის სპექტრების წარმომშობ წყაროებში. სპექტრებს შორის არსებულ ფიზიკურ განსხვავებაში. ლ. ხუბუამ მე-9 კლასში მექანიკის ძირითადი საკითხების სწავლებისას გამოიყენა დიაპროექტორი, თვალსაჩინოდ შეასწავლა მოსწავლეებს ათვლის სისტემებისა და მოძრაობის ფარდობითობის თეორია, ხოლო თემის „მოლეკულური ფიზიკა“ შესწავლისას დიაპროექტორის საშუალებით უჩვენა სტრათი „სითხეების შემადგენლობა და მათი წონასწორულ მდგომარეობათა დიაგრამა“. ამიტომაც, რომ ამ სკოლების მოსწავლეებმა შედარებით უფრო კარგად იციან პროგრამული მასალა.

სწავლების პროცესში კარგად იყენებს სადემონსტრაციო ცდებს ბათუმის საოლქო დაუსწრებელი სკოლის ხულოს საკონსულტაციო პუნქტის მასწავლებელი ა. ქიათაძე. ლორენცის ძალის არსებობა მან შემდეგი ცდით ახსნა: ძლიერი მაგნიტის პოლუსზე ამავრებს მინის ჭურჭელს, მასში ათავსებს ელექტროლიტს ($CuSO_4$ -ის ხსნარს), ზედაპირზე აყრის ლიკობოდიუმს, ან საცობის ფხვნილს, ლითონის ჭურჭელში მოთავსებულია აგრეთვე ლითონის, რგოლით გარშემორტყმული ცილინდრი. მოსწავლეებს ეკითხება—რა მოხდება, თუ ცილინდრსა და რგოლს შეაერთებთ დენის წყაროსთან? თუ მოსწავლეთა ვარაუდი შორსა ჭეშმარიტებისაგან, მათ ეძლევა დამხმარე კითხვა: რას წარმოშობს თავის მხრივ ელექტრული დენი ელექტროლიტში? მოსწავლეები რწმუნდებიან და პასუხობენ, რომ დენის ჩართვისას სითხეში მოწესრიგებულად მოძრაობენ დადებითი და უარყოფითი იონები. ამის შემდეგ ასეთ კითხვას სთავაზობს მათ: როგორ იცვლება იონების მოძრაობა მაგნიტური ველის მოქმედებით? მოსწავლეები აკვირდებიან ხსნარის წრიულ მოძრაობას, რაც ნათლად ჩანს ფხვნილის გადაადგილებით. ცდის შედეგად პასუხიც ნათელია. მარცხენა ხელის წესით მოსწავლეები განსაზღვრავენ ლორენცის ძალის მიმართულებას, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს ცენტრისკენულ ძალას. სხვადასხვა ნიშნის იონებზე მოქმედი ძალები ერთნაირადაა მიმართუ-



ლი, რადგან იონები მოძრაობენ საპირისპირო მხარეს, ჭურჭელში წარმოიშობა კონვენციური დენი.

ცხაკაიის რაიონული, თბილისის რესპუბლიკური, სოხუმის საოლქო სკოლების საზოგადოებათმცოდნეობისა და ისტორიის მასწავლებლები ვ. მაქაცარია, გ. ფილია, ვ. ხუბუა, ს. კუბეცია, ტ. ჭითანავა, შ. შელია, პროგრამულ მასალას მიზნუშედეგობრივ კავშირში ამუშებენ; მოსწავლეებს უყალიბებენ დიალექტიკურ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობასა და კომუნისტურ მორალს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საზოგადოების განვითარების სოციალური და ეკონომიური კანონების შესწავლას, მათ უკავშირებენ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. ცხაკაიის დაუსწრებელი რაიონული სკოლის უშაფათის სასწავლო-საკონსულტაციო ჯგუფის მეცხრე კლასის მოსწავლეებმა თემის „1905—1907 წლების რევოლუცია რუსეთში იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია“ ჩათვლის წინ, შემაჯამებელ მეცადინეობაზე ძირითადი საკითხების დამაჯამებელი გაშუქების შემდეგ გააკეთეს სწორი დასკვნა, რომ 1905 წლის რევოლუცია იმპერიალისტურ ეპოქაში მოხდა, და თუ ევროპის ქვეყნების რევოლუციის ჰეგემონი ბურჟუაზია იყო, რუსეთში მას, მიუხედავად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათისა, პროლეტარიატი მეთაურობდა.

დაუსწრებელათთვის სასწავლო გეგმით ზოგ საგანში გათვალისწინებულია საათების ნაკლები რაოდენობა, ვიდრე საღამოს სკოლებში, მაგრამ მასწავლებლები წინასწარ შედგენილ თემატურ გეგმაში ახდენენ მასალის ისე დაჯგუფებას, რომ მას კონსულტაციებზე ნაკლები დრო დასჭირდეს. ეს ხდება სსრ კავშირის საქართველოს, ახალი, უახლესი ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობაში მონათესავე-ახლობელი თემების გაერთიანებით, ასე ერთდება IX კლასებში პირველს მსოფლიო ომის, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის საკითხები. IX კლასში ახალ ისტორიაში იმპერიალისტური ეპოქის შესწავლისათვის პროგრამით გათვალისწინებულია 35 საათი, დაუსწრებელი სკოლის ისტორიის მასწავლებლები ისე ადგენენ თემატურ გეგმებს, რომ ეს მასალა 10 საათში შეასწავლონ მოსწავლეებს.

მეთოდურად სწორად, საგნის ცოდნით ატარებს გეოგრაფიაში კონსულტაციებს ცხაკაიის რაიონული სკოლის ლეძაძემის სს ჯგუფის მასწავლებელი ა. ნარსია. ის მაქსიმალურად იყენებს თვალსაჩინოებას (რუკები, სქემები, დიაგრამები, ატლასები, სურათები, ცხრილები და

სხვ.) სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მისწავლებს; მოსწავლეებს აჩვენებს საქართველოს ეკონომიკის განვითარების ამსახველი ციფრობრივი მასალის მოძებნას და კვლევას, მოსწავლეები დამოუკიდებლად ადგენენ საქართველოს ეკონომიკური რაიონების სქემებსა და მეურნეობის განვითარების დიაგრამებს. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ნ. რუხაძე მოხდენილად უყავშირებს საპროგრამო მასალას საიდუბრო საკითხებს, მოსწავლეებს ამზადებინებს თვითნაკეთ თვალსაჩინო მასალას და ხელსაწყოებს.

მიუხედავად იმისა, რომ უცხო ენები დაუსწრებელ სკოლებში ფაქულტატურია, კარგ შედეგებს მიაღწია გერმანული ენის სწავლებაში თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლის ქუთაისის სს პუნქტის მასწავლებელმა ა. კოკელაძემ. ტექსტების სწავლებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა აქტივობას, ცდილობს კითხვები იმგვარად დასვას, რომ მსმენელებს არ გაუჭირდეთ მისზე პასუხის გაცემა. XI კლასში *Gruch im Kurpark*-ის ბოლო ნაწილის სწავლების პროცესში ყურადღება გაამახვილა აღმზრდელობით საკითხებზე. ტექსტში მოყვანილია ფაქტი იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ისევე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, უფასო სამედიცინო მომსახურების მაღალი კულტურაა. ერთ-ერთი ამერიკელი მოქალაქე, რომელიც აქ სამკურნალოდაა, განცვიფრებულია ნახულით. მას ვერ წარმოუდგენია, რომ ქვეყანაში უფასო სამედიცინო მომსახურება იყოს. მასწავლებელმა ეს საკითხი მოხერხებულად გამოიყენა მოსწავლეთა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

გარდა ამისა, მოსწავლეებს ავარჯიშებს ზეპირი მეტყველების განვითარებისა და სიტყვათა მარაგის შექმნის თვალსაზრისით. მოსწავლეები თვითონ იგონებენ შეკითხვებსა და სცემენ მათზე პასუხებს. ისინი თვითონ ადგენენ მარტივ გაუვრცობელ და გაუვრცობილ წინადადებებს, ქართული მოთხრობის გერმანულ თარგმანს, აღწერენ სურათებს.

დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვა შედეგია იმისა, რომ ბოლო დროს ამდღა მომთხოვნელობა, გაძლიერდა შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა, სკოლების უმრავლესობა იყენებს დღის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებს, თვალსაჩინოებას, გაუმჯობესდა მოსწავლეების სახელმძღვანელოებით. სასწავლო ნივთებით მომარაგება. კონსულტაციებზე გამოცხადების,

სალამოს სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეებზე მთავრობის დადგენილებით მინიჭებული შეღავათების გავრცელების, სწავლებისათვის მალური პირობების შექმნის კარგ მაგალითებს გვიჩვენებენ ცხაპანას, მახარაძის, ახმეტის, ლანჩხუთის რაიონული სკოლები და ამ რაიონების ბევრი საწარმოები და ორგანიზაციები. მათ საქმიანი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. აკონტროლობენ თავიანთი მოსწავლე-კოლმეურნეებისა და მუშების კონსულტაციებზე დასწრებას, ზოგან მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი. სწავლაში მოპოვებულ წარმატებას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის შეფასებისას, რაც სტიმულს აძლევს მათ მუშაობასა და სწავლაში.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რესპუბლიკის დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია, ზოგან განათლების განყოფილებები, მეთოდური კაბინეტები ჯეროვან ხელმძღვანელობას და დახმარებას არ უწყევენ ამ ტიპის სკოლებსა და მათ მასწავლებლებს. ხშირად ისინი არ არიან გარკვეული დაუსწრებელი სკოლების საქმიანობაში. არ ახდენენ მოწინავე მასწავლებლების გამოცდილების განზოგადებას:

ზოგან სკოლები არ არის დაკომპლექტებული შესაფერისი პედაგოგიური კადრებით და მეთოდისტებით. ყველგან არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1975 წლის 4 დეკემბრის № 968 ბრძანება იმის შესახებ, რომ მასიური სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით დაუბრკოლებლად უნდა სარგებლობდნენ სალამოსა და დაუსწრე ელი სკოლები. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლის მარნეულის სს პუნქტი მოთავსებულია № 1 საშუალო სკოლის შენობაში. მაგრამ ამ სკოლის ხელმძღვანელობა არამც თუ კაბინეტებით სარგებლობის ნებას არ აძლევს, არამედ მუშაობისათვის ნორმალურ პირობასაც არ უქმნის პუნქტს. 5 კლასი მოთავსებულია 4 არასაკლასო ოთახში — ფლიგელში სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეების უარავლესობა არ ანორციელებს სათანადო მეთოდურ ხელმძღვანელობას მასწავლებლებისადმი, იშვიათად ესწრებიან კონსულტაციებზე და არ აძლევენ მათ რჩევა-დარიგებას, ბევრგან არ ატარებენ პედაგოგიურ თათბირებს. მასწავლებლებისათვის არ არის შექმნილი რაიონული მეთოდური სექციები; ზოგან დარღვეულია კონსულტაციების ცხრილის შედგენის პრინციპები. გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი ლ. იაშვილი ჯეროვნად არ არის გარკვეული დაუსწრებელი და სალამოს სკოლების მუშაობის სპეციფიკაში.

მასწავლებელთა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1976 წლის 24 დეკემბრის № 1165 და 1977 წლის 24 იანვრის № 57 ბრძანების შესაბამისად.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლაში (დირექტორი დ. ლიბრაძე, მასწავლებელი დ. თავხელიძე). დაბალია მოსწავლეთა წერიითი კულტურა და ზეპირი მეტყველება, დარღვეულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი წერიითი ნორმების, სახეებისა და შეფასების კრიტერიუმის შესახებ. მასწავლებელი დ. თავხელიძე მოსწავლეთა მიერ შეცდომით დაწერილ სიტყვებს ვერ ამჩნევს და გაუსწორებლად ტოვებს.

ამავე სკოლის ქიმიის მასწავლებელი გ. ფაიქაძე არ იცნობს დაუსწრებელ სკოლაში მუშაობის სპეციფიკას, სწავლებისას არ ეყრდნობა მოსწავლეთა პროფესიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, არადამაკმაყოფილებლად - ასწავლის ბიოლოგიას დაბა მაიაკოვსკის დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. სარბილაძე. იგი იმავე მეთოდებით მუშაობს როგორც დაწყებით სკოლაში (მოსწავლეებს ჯერ წააკითხებს ტექსტს სახელმძღვანელოდან, შემდეგ მოაყოლებს მას).

გარდაბნის რაიონის გამარჯვების დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ი. კეჭეყმაძე უზახუისმგებლობას იჩენს ამ საგნის სწავლების საქმეში. შემოწმების დღეს (21. 03) VII კლასში გვერდი აუარა ქართული ენის გაკვეთილის ჩატარებას.

სუსტად ასწავლის ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობას ამავე სკოლის მასწავლებელი, ა. ა. გოგოჭური. ის სათანადოდ არ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდის, არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ აღგენს გაკვეთილების გეგმებს. 21 მარტს საზოგადოებათმცოდნეობის ნაკვალად კონსულტაცია ჩაატარა უახლეს ისტორიაში. მოსწავლეები ამჟღავნებენ საგნის უცოდინარობას.

ზოგიერთ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე, მათ არ აქვთ გამომუშავებული დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები, რაც კონსულტაციების ხშირი გაცდენის, უკონტროლობის, მასწავლებლებისადმი მომთხოვნელობის, წარმოება-დაწესებულებებთან ურთიერთობის შესუსტების, შრომის დისციპლინის დაბალი დონის შედეგად.

მარჯხის ს.ხ. საქ. სსრ
საბჭოთა რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

გია; ზოგი მასწავლებელი არ ზრუნავს მეთოდური დახელოვნებისათვის, არ იმაღლებს კვალიფიკაციას, არ ადგენს კონსულტაციების გეგმებს. ადგილი აქვს მასწავლებელთა მიერ კონსულტაციების გატარების შემთხვევებსაც კი. შემოწმებისას გეგმისგარეშე გამოცხადდნენ კონსულტაციებზე მიაკვსკის რაიონის წითელხევის, გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლების მასწავლებლები დ. თავხელიძე, ლ. ლობჯანიძე, ვ. ბერიშვილი, ა. გოგოჭური.

ბევრგან პედაგოგიური საბჭოს მუშაობა არ პასუხობს სასკოლო ცხოვრების მოთხოვნებს. საგნების სწავლების მდგომარეობის განხილვა ხდება ზერელედ, სათანადო ყუადღება არ ეთმობა სწავლების ხარისხის ამოღების საქმეს, პედაგოგიურ საბჭოებზე იშვიათად იხილავენ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების მუშაობის საკითხებს. ზოგან საკლასო ყურნალებში არ შეაქვთ საკონტროლო წერისა და ჩათვლის ნიშნები, სასწავლო გეგმის მიხედვით არ ხდება ჩათვლის მიღება (საგარეჯოს დაუსწრებელი სკოლა, ვარკეთილის სს პუნქტი), ხოლო ზოგჯერ მოსწავლეებს ჩათვლაზე უშვებენ ისე, რომ არ აქვთ შესრულებული საკონტროლო წერა, ლაბორატორიული სამუშაო და ა. შ.

მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, ზოგიერთ სკოლაში მაინც აქვს ადგილი მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების დარღვევის შემთხვევებს.

საკიროდ მიგვაჩნია;

1 განათლების მინისტრის ბრძანებით ეს მოხსენებითი ბარათი გეგზავნოს განათლების განყოფილებათა გამგეებს, დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს და დაევალოთ მათ გარდაქმნან მუშაობა იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობამ დასაზა, უახლოეს დროში უზრუნველყონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, ფართოდ გაავრცელონ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა გამოცდილება.

2. თბილისის რესპუბლიკური, ბათუმისა და სოხუმის საოლქო, ცხაკაიას, ზესტაფონის, ახალციხის, გორისა და ახმეტის რაიონული სკოლები მიჩნეული იქნან ზონების მიხედვით მეთოდური მუშაობის საზაზო ობიექტებად, დაუსწრებელმა სკოლებმა გაიზიარონ მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება.

სადაწოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველო

840313

რედაქტორი ნ. ა. ფოფხაძე
კორექტორი ლ. დოლიძე
ტიპ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

შპს 10 კვ.

ხელმოწერილია დისბეჭდოდ 4/XI-77 წ. ინაწკობის ზომა 6X9,5,
ქაღალდის ზომა 60X84, ხასტამზო ფორმათა რაოდენობა 1,75

შეკ. № 1191

УВ—04244

ტირაჟი 5,000

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხვიძის ქ. № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств,
полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР.
ул. Уш. Чхендзе 19